



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000080062588918

0900 ქ. ახმეტა ჩილთყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 28

27 / აგვისტო / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებული მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის უსასყიდლოდ გამოიყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობები:
 - ა) ქ. ახმეტაში - ცენტრალური სტადიონი;
 - ბ) სოფელ ზემო ხოდაშენში - სტადიონი;
 - გ) სოფელ ზემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;
 - დ) სოფელ ქვემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;
 - ე) სოფელ საკობიანოში - ადმინისტრაციული ერთეულის ყოფილი შენობის ეზო;
 - ვ) სოფელ დუისში - სტადიონი;
 - ზ) სოფელ ჯოყოლოში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
 - თ) სოფელ ხალანანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
 - ი) სოფელ კასრისწყალში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
 - კ) სოფელ მარაანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
 - ლ) სოფელ ომალოში (თუშეთი) - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;
2. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის № 18 საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 29 აგვისტოდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოცხადების დღემდე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

რამაზ ბალაკაშვილი

